ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №51

აბაშა, 2021 წლის 1 ნოემბერი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 52-ე მუხლისა და 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს (ს/ნ204534058), 2 (ორი) წლის ვადით აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: ქ. აბაშა, უჩა კაჭარავას ქ.№1-ში მდებარე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №40.01.34.014) საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობაში პირველ სართულზე 2 (ორი) ოთახი, სასარგებლო ფართით 31.2 კვ.მ.

2..განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ.№ 247).

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე მ. კვიტაშვილი